ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

აკადემიური ნაშრომის შესრულების წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N3.

თარიღი: 18.04.2022 წ.

დადგენილება N6.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N34.

სამეცნიერო საქმიანობის პროდუქტიულობისა და ხარისხის განსაზღვრის ინსტრუმენტის სახით დღეისათვის გამოიყენება მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოების მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამეცნიერო ბაზები - კომპანია Thomson Reuters (აშშ) მონაცემთა ბაზა Web of Science (WoS) და გამომცემლობის Elsevier (ჰოლანდია) მონაცემთა ბაზა Scopus. სამეცნიერო პერიოდული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღნიშნულ ბაზებს შემუშავებული აქვთ სამეცნიერო ჟურნალების შეფასების კრიტერიუმები და ის მოთხოვნები, რომელთა დაცვა აუცილებელია ამ სისტემებში მოსახვედრად. Scopus მულტიდისციპლინარული ბაზაა, სადაც აისახება თითქმის ყველა სფერო და მეცნიერების ყველა თემატური მიმართულების პუბლიკაციებს აერთიანებს. ჟურნალის ციტირების მიხედვით განისაზღვრება მისი მეცნიერული დონე, ავტორიტეტულობა, სარედაქციო საბჭოს საქმიანობის ეფექტურობა. სამეცნიერო ჟურნალი, როგორც თემატური, ასევე პოლითემატური, სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისას უნდა იყენებდეს იმ კლასიფიკატორს, რომლის შესაბამის ბაზაში ასახვა აქვს მიზნად დასახული.

Scopus - ში წარდგენილი ჟურნალისათვის რეცენზირების 4 (ოთხი) ძირითადი ტიპი:

1. „რეცენზირება მთავარი რედაქტორის მიერ“ (“main editor peer review”): მხოლოდ ერთი (ან ორი) მთავარი რედაქტორი ახდენს ყველა სტატიის რეცენზირებას და შერჩევას პუბლიკაციისათვის (დაბალი დონე, დაბალი შეფასება);
2. „ღია რეცენზირება“ (“open peer review”): რეცენზენტმა და ავტორმა იციან ერთმანეთის ვინაობა; ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;
3. „ცალმხრივი ფარული (ანონიმური) რეცენზირება“ (“single blind peer review”): რეცენზენტმა იცის ავტორის ვინაობა, ავტორმა კი არ იცის რეცენზენტის ვინაობა; ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;
4. „ორმხრივი ფარული (ანონიმური) რეცენზირება“ (“double-blind peer review”): რეცენზენტმა და ავტორმა არ იციან ერთმანეთის ვინაობა; ითვალისწინებს სამ ან მეტ რეცენზენტს თითოეული გამოცემის ყველა სტატიისათვის;

რეცენზირების ყველა ტიპს აქვს დადებითი და უარყოფითი მხარეები. შესაბამისად, ავტორი თავისუფალია არჩევანში.

რეიტინგულ სამეცნიერო ბაზებში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის საერთაშორისოდ აღიარებულ აკადემიურ სტილს (**APA და CHICAGO**). სამეცნიერო ნაშრომი შეიძლება იყოს ანალიტიკური და/ან მიმოხილვითი ხასიათის.

„ნეუ - ეროვნულ საგანმანათლებლო უნივერსიტეტში“ შესრულებული აკადემიური ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

აკადემიური ნაშრომის სტრუქტურა:

სტატიის სათაური - სათაური კომპაქტურად და რეალისტურად უნდა ასახავდეს ინფორმაციას ნაშრომის შინაარსის და დასმული პრობლემის შესახებ.

ინფორმაცია ავტორის/ავტორების შესახებ - უნდა მიეთითოს ავტორის/ავტორთა სახელი, გვარი, სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სამუშაო/სწავლის ადგილი, საკონტაქტო მონაცემები.

ნაშრომის სტრუქტურა შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

აბსტრაქტი - აბსტრაქტი უნდა იყოს ლაკონიური და მკაფიო, თავისუფალი ზედმეტი სიტყვებისაგან, გამოირჩეოდეს ფორმულირების დამაჯერებლობით და უნდა შეიცავდეს შინაარსის შემდეგ ასპექტებს:

- სამუშაოს საგანი, თემა, მიზანი;
- სამუშაოს ჩატარების მეთოდი ან მეთოდოლოგია;
- სამუშაოს შედეგები;
- შედეგების გამოყენების სფერო;
- დასკვნები.

აბსტრაქტი უნდა შეესაბამებოდეს სამეცნიერო და ტექნიკური დოკუმენტების ენას, არ უნდა გამოიყენებოდეს კალკი, დაცული უნდა იქნას ერთიანი ტერმინოლოგია მთელ ტექსტში. შემოკლებები და პირობითი აღნიშვნები, გარდა საზოგადოდ მიღებულისა, გამოყენებულ უნდა იქნას გამონაკლის შემთხვევებში ან უნდა მოხდეს მათი განმარტება პირველივე ხსენებისას. ფიზიკური სიდიდეების ერთეულები მოცემულ უნდა იყოს საერთაშორისო სისტემების შესაბამისად. ცხრილები, ფორმულები, ნახაზები, სურათები, სქემები, დიაგრამები, აბსტრაქტი გამოიყენება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როცა ისინი ასახავენ დოკუმენტის ძირითად შინაარსს და საშუალებას იძლევიან შემცირდეს მისი მოცულობა. აბსტრაქტი უნდა შეიცავდეს არა უმეტეს, 400 ასო / ნიშანს.

აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე

ინგლისურენოვანი აბსტრაქტი ერთადერთი წყაროა, რომლის მიხედვით უცხოელი სპეციალისტი აფასებს პუბლიკაციას, იყენებს მას თავის პუბლიკაციაში, დისკუსიაში შედის ავტორთან და ა.შ. შესაბამისად, ინგლისურ ენაზე აბსტრაქტის შედგენას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე ძირითადად იმეორებს ქართულ ენაზე დაწერილი აბსტრაქტის ტექსტს, თუმცა ინგლისურენოვანი აბსტრაქტი შეიძლება იყოს უფრო ვრცელი, ვიდრე ქართულენოვანი, რადგან ქართულენოვანი თან ახლავს ძირითად ტექსტს.

აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე უნდა იყოს:

- ინფორმაციული (არ შეიცავდეს ზოგად ფრაზებს);
- ორიგინალური (არ იყოს ქართულენოვანი აბსტრაქტის კალკი);
- შინაარსიანი (ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსს და კვლევის შედეგებს);
- სტრუქტურირებული (მისდევდეს სტატიის ლოგიკას);
- „ინგლისურენოვანი“ (დაწერილი ხარისხიანი ინგლისური ენით და ინგლისურენოვანი სპეციალური ტერმინებით);
- კომპაქტური.

საძიებო სიტყვები - აუცილებელი ელემენტია ნებისმიერი სტატიისთვის. ის გამოიყენება დარგობრივი სფეროს/კვლევის ობიექტის/კვლევის მეთოდების განსაზღვრისათვის და შესაბამისი სტატიის საძიებოდ. სიტყვები/სიტყვათშეერთებები უნდა შეიცავდეს დარგობრივ ტერმინებს, რომლებიც შეიძლება არც კი იყოს გამოყენებული სტატიაში, მაგრამ დამახასიათებელია წარმოდგენილი დარგისთვის. საძიებო სიტყვების ოპტიმალური რაოდენობაა 4 - 7 ერთეული, ხოლო ფრაზის ფარგლებში - არა უმეტეს 3 ერთეულისა.

სამეცნიერო ნაშრომის ტექსტში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ძირითადი ნაწილები:

1. შესავალი;

2. ძირითადი ნაწილი;

3. კვლევის შედეგები;

4. დასკვნები;

5. ლიტერატურა.

აღნიშნული ნაწილები გამოიყოფა შესაბამისი სათაურებით/ქვესათაურებით და უნდა შეიცავდეს რელევანტურ ინფორმაციას.

შესავალი - კონტექსტი ნათლად უნდა წარმოაჩენდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის აქტუალობას და წარმოდგენილი პრობლემის დასმის აუცილებლობას. კონცეპტუალური აპარატი (ჰიპოთეზა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი) მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის სპეციფიკასთან მიმართებით.
ძირითადი ნაწილი - ამ ნაწილში წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევის მეთოდების განსაზღვრისა და რელევანტურობის დასაბუთებას, კვლევის აღწერასა და შედეგების ანალიზს.

ავტორის შეხედულებისამებრ, შესაძლებელია ტექსტის ძირითადი ნაწილის დაყოფა ქვეთავებად, რაც უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის აკადემიურ ნაშრომს.

დასკვნა - დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს ნაშრომის ძირითად არსს, მეცნიერულ სიახლეს, უჩვენებს შემდგომი კვლევის პერსპექტივას.

სამეცნიერო ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამის ენაზე;

- ფურცლის ფორმატი - A4, შრიფტი - "Sylfaen", სათაურის ზომა -16, ტექსტის ზომა - 12, სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5, ველების მანძილი (ყველა მხრიდან) - 2 სმ.

გამოყენებული ლიტერატურის აღწერის სხვადასხვა სქემა არსებობს. უნივერსიტეტში გამოიყენება ავტორიტეტული საერთაშორისო მონაცემთა ბაზების ბიბლიოგრაფიული შემდეგი სტანდარტები

- **APA- American Psychological Association (5th ed.):**
  - Author, A.A., Author, B.B., & Author, C.C. (2005). Title of article. *Title of Journal,* 10(2), 49-53.
- **Chicago 15th Edition (Author-Date System)**
  - Autor, Alan A., B.B. Autor, and C. Autor. 2005. Title of article. Title of Journal 10, (2): 49-53

დანართი: აკადემიური ნაშრომის შესრულების სახელმძღვანელო.

აკადემიური ნაშრომის შესრულების სახელმძღვანელო

აკადემიური სტილი

მსოფლიოს ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტთა და მეცნიერთა მიერ შექმნილი წერითი ნაშრომების გასაფორმებლად იყენებს რომელიმე აღიარებულ ფორმატს, ოფიციალურ სტილს, რათა აკადემიური ნაშრომები ერთიან ჩარჩოში მოაქციოს. აკადემიური ტექსტის გაფორმების სტილი არის შეთანხმებათა სისტემა, რომელიც ეხება ნაშრომის გაფორმების ყოველ დეტალს, თავფურცლიდან დაწყებული ნაშრომის ბოლო გვერდით დამთავრებული. რაიმე სტილის გამოყენებისას ნაშრომი ხდება ფორმალიზებული. არსებობს აკადემიური ტექსტების გაფორმების სხვადასხვა სტილი, მათ შორის ყველაზე ხშირად გამოიყენება **APA** "აფა" (ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაცია) და **Chicago** (ჩიკაგოს სტილის სახელმძღვანელო)

APA სტანდარტები გამოიყენება ფსიქოლოგიის, განათლების და სოციალური მეცნიერებების ნაშრომებთან მიმართებაში. APA სტილის გამოყენება მნიშვნელოვანია სტუდენტთა და დამწყებ მეცნიერთა აკადემიური სოციალიზაციისათვის.

Chicago სტანდარტები ფართოდ გამოიყენება ნებისმიერი სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შესასრულებლად ყველა დისციპლინაში.
უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური ნაშრომის შესრულების სტანდარტი, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეყრდნობა მსოფლიოში აღიარებულ APA (American Psychological Association style) სტილს და/ან ჩიკაგოს სტილს. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შექმნა უნივერსიტეტის საქმიანობის ერთ - ერთი მიმართულებაა როგორც პროფესორისათვის, ისე სტუდენტისათვის, ხოლო ნაშრომებზე მუშაობის პრინციპი კი საერთოა ყველასათვის.

სამეცნიერო ეთიკა

სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი საყოველთაოდ მიღებულ აკადემიურ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რაც უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბდა მეცნიერულობის განმსაზღვრელი ძირითადი კრიტერიუმების სახით, კერძოდ:

კეთილსინდისიერება: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ხარისხის საფუძველია. ავტორმა ყველა გამოყენებული წყარო უნდა დაამოწმოს და ნათლად წარმოაჩინოს არგუმენტაციის აგების პრინციპი. მონაცემებით მანიპულირება, მათი გაყალბება და შედეგების გამოგონება დაუშვებელია სამეცნიერო მუშაობის პროცესში.

ობიექტურობა: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი უნდა იყოს მაქსიმალურად ნეიტრალური და მასში არ უნდა ვლინდებოდეს ავტორის პირადი დამოკიდებულება საკვლევი საკითხის მიმართ.

მნიშვნელობა: ეს კრიტერიუმი განაპირობებს დარგში ახალი ცოდნის შექმნას და დარგის/სფეროს წინსვლას. მნიშვნელოვანია ის ნაშრომები, რომლებიც მაღალი ინფორმაციულობით გამოირჩევიან და კვლევები, რომელთაც კონკრეტული პრაქტიკული პრობლემების ამოხსნა/გადაჭრაში შეაქვთ წვლილი.

ორიგინალურობა: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შემქმნელმა სამუშაო დამოუკიდებლად უნდა შეასრულოს, რაც დამოუკიდებელ აზროვნებას მოითხოვს. ზოგადად, სამეცნიერო ნაშრომში ორიგინალურობა მიიღწევა ახალი კონცეფციის შექმნით, ინოვაციური სქემის წარმოდგენით, კვლევის ახალი მოდელის/მეთოდის დამკვიდრებით ან პრობლემის გადაჭრის ახლებური ხედვით.

აზრობრივი და ენობრივი სიცხადე: სამეცნიერო ნაშრომის ენა უნდა იყოს მარტივი, ერთმნიშვნელოვანი და ზუსტი, წინადადებები უნდა იყოს მკაფიოდ აგებული და არ იძლეოდეს ინტერპრეტაციების საშუალებას. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს მართლწერის საკითხებს, დაუშვებელია გრამატიკული, ბეჭდური და სტილისტური შეცდომები. ნაშრომი უნდა შესრულდეს სამეცნიერო მეტა-ენით (აღწერითი ენა) და ზომიერად გამოყენებული დარგობრივი ტერმინებით, საჭიროების შემთხვევაში კი მათი განმარტებით, რათა ტერმინთა მრავალმნიშვნელობამ გაუგებრობა ან ბუნდოვანება არ გამოიწვიოს მკითხველში.

ვალიდურობა (საფუძვლიანობა, დასაბუთებულობა): მნიშვნელოვანია, აკადემიურ ნაშრომში საკვლევი პრობლემის საფუძვლიანად გააზრება, სამეცნიერო ლიტერატურისა თუ სხვა საკვლევი ინსტრუმენტების ზედმიწევნით შერჩევა და მათი ურთიერთკავშირის მკაფიოდ წარმოჩენა.

გამჭვირვალობა/გადამოწმება: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი არა ვარაუდებზე, არამედ გადამოწმებულ, სანდო ფაქტებსა და მონაცემებზე დაყრდნობით უნდა აიგოს და მოყვანილი არგუმენტები ზედმიწევნით, უშეცდომოდ უნდა იყოს დამოწმებული, რათა მკითხველს, (უწინარესად კი სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ხელმძღვანელს, დარგის სპეციალისტს) სურვილის შემთხვევაში, კვლევის გადამოწმება არ გაუჭირდეს.

აკადემიური/სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

უნივერსიტეტში შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომების ძირითად სახეებს მიეკუთვნება: საბაკალავრო ნაშრომი, სამაგისტრო ნაშრომი, სამეცნიერო სტატია, მონოგრაფია და მათ მკაცრად განსაზღვრული სტრუქტურა აქვთ, კერძოდ:

საბაკალავრო ნაშრომი: საბაკალავრო ნაშრომში სტუდენტი იკვლევს და ამუშავებს კონკრეტულ საკითხს არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით. სტუდენტს ევალება საკითხზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და მონაცემების შეგროვება, გაანალიზება, კონკრეტული საკვლევი მეთოდის შერჩევა, კვლევის

დაგეგმა/წარმართვა და შემდეგ გადმოცემა. ნაშრომში ასახული უნდა იყოს საბაკალავრო საფეხურზე სწავლის განმავლობაში შეძენილი თეორიული და დარგობრივი ცოდნა. საბაკალავრო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს 35 გვერდზე ნაკლები.

მონოგრაფია: ეს არის ვრცელი მეცნიერული ნაშრომი, რომელშიც ყოველმხრივ შესწავლილი და დამუშავებულია ამა თუ იმ მეცნიერული დარგის რაიმე სპეციალური საკითხი, პრობლემა, თემა.

სამეცნიერო სტატია: კვლევითი სტატია, ახალი ცოდნის შექმნას ისახავს მიზნად. იგი შედარებით მცირე ზომის ნაშრომია, ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ საკითხზე, ასახავს ავტორის ან ავტორთა ჯგუფის ორიგინალურ კვლევას და არგუმენტირებულ მიგნებებს. მეტწილად იბეჭდება სამეცნიერო კრებულებში/ჟურნალებში და მის მოცულობასა და სტილს სწორედ ჟურნალის/კრებულის გამომცემლობა განსაზღვრავს.

სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა

თავფურცელი. ნებისმიერი ტიპის აკადემიური ნაშრომი იწყება თავფურცლით, ე.წ. სატიტულო გვერდით, რომელზეც შემდეგი ინფორმაცია უნდა განთავსდეს: ნაშრომის სათაური, სტუდენტის სახელი და გვარი, ნაშრომის ტიპი (საბაკალავრო ნაშრომი); სკოლის ან პროგრამის დასახელება, სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება, ნაშრომის წარდგენის ადგილი და წელი. თავფურცელი არ ინომრება, მონაცემები კი იწერება ცენტრირებულად, შემდეგი თანმიმდევრობითა და შრიფტის პარამეტრებით.

1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება -16, გამუქებული;
2. ფაკულტეტი, პროგრამა - 14, გამუქების გარეშე;
3. ნაშრომის სათაური - 16, გამუქებული;
4. ავტორის სახელი და გვარი - 16, გამუქების გარეშე;
5. ნაშრომის ტიპი - 12, გამუქების გარეშე;
6. ხელმძღვანელის მონაცემები - 14, გამუქების გარეშე;
7. ქალაქი და წელი - 14, გამუქების გარეშე.

შინაარსი (იგივე სარჩევი) ნაშრომის აგებულებას წარმოაჩენს და ამით მკითხველს ორიენტაციას უადვილებს. იგი ქმნის სისტემას, რომელიც აჩვენებს, როგორ არის გააზრებული საკითხი, როგორ იყოფა საკვლევი პრობლემა კატეგორიებად და ქვეკატეგორიებად, რა თანმიმდევრობით ხდება საკითხის გამოკვლევა, პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის სარჩევი უნდა იყოს ლოგიკურად აგებული, ადვილად გასაგები და მასში შესული თითოეული პუნქტი უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს საკვლევ საკითხს. სარჩევის ნუმერაცია ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს თემის სტრუქტურას. ნაშრომში თავებისა და ქვეთავების გამოყოფისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ თავი მინიმუმ ორი ქვეთავისაგან უნდა შედგებოდეს. მათი სათაურები კი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნეს შერჩეული და ზუსტად უნდა ასახავდეს კონკრეტულ თავში განხილულ შინაარსს.

სარჩევში სათაურების ფორმულირებისას, მნიშვნელოვანია შემდეგი წესების დაცვა:

1. სათაური უნდა იყოს მოკლე და გადმოსცემდეს ინფორმაციას;
2. იწერება ნომინალური სტილით (ნაკლები ზმნები, მეტწილად - არსებითი სახელები);
3. იწერება სასვენი ნიშნების გარეშე (გამონაკლისია სათაურები, რომლებიც ფორმულირებულია როგორც კითხვა და ამრიგად, ბოლოში კითხვის ნიშანი უნდა დაიწეროს);
4. ქვეთავების სათაურები ნაშრომის ძირითადი სათაურის იდენტური არ უნდა იყოს;
5. ერთი სათაური მხოლოდ ერთხელ უნდა გვხვდებოდეს ნაშრომში;
6. თავიდან უნდა იქნეს აცილებული არაფრისმთქმელი და შაბლონური სათაურები: „ზოგადი წესები “, „ზოგადი საფუძვლები “, და ა.შ.

შესავალი. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის შესავალი ნაწილის ფუნქციაა, წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს თემის შესახებ და განაწყოს იგი ნაშრომის გასაცნობად. შესავალი, როგორც წესი, იწყება საკვლევი პრობლემის აღწერით, გრძელდება კვლევის აქტუალობის/მნიშვნელობის დასაბუთებით და სრულდება კვლევის მიზნისა და ამოცანების (საკვლევი კითხვა/ჰიპოთეზის) ჩამოყალიბებით. როგორც წესი, შესავალი ნაშრომის არაუმეტეს 15%-ს შეადგენს. შესავალი არ ემსახურება ვრცელ, არგუმენტირებულ მსჯელობას. აქ მნიშვნელოვანია, კონკრეტული საკითხის დასმა და პასუხამდე მიმავალი გზის ჩვენება.

ნაშრომის ძირითადი ნაწილი აკადემიური ნაშრომის ბირთვია და შესაბამისად, ყველაზე ვრცელი სტრუქტურული ერთეული. მისი მთავარი დანიშნულებაა, შესავალში დასმულ საკვლევ კითხვებზე პასუხების მოძიება თეორიული ან/და ემპირიული კვლევის საფუძველზე. ძირითადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს: თემის ისტორიული წანამძღვრების აღწერას და მთავარი ცნებების განმარტებას, ტექსტების ინტერპრეტაციას, სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვასა და მასზე დაყრდნობით საკვლევი პრობლემის დეტალურ ანალიზს, თეორიათა შედარებას და ემპირიული კვლევების შეფასებას, ემპირიული კვლევის განხორციელების და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, ექსპერიმენტების აღწერას და ა.შ. ძირითადი ნაწილის ფორმა და შინაარსი მთლიანად დამოკიდებულია საკვლევ ობიექტზე, კვლევის მიზანსა და საკვლევ კითხვაზე და ამრიგად, მისი აგების ერთი უნივერსალური წესი არ არსებობს.

დასკვნა. სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის დასკვნა შესავალ ნაწილთან ერთად ნაშრომის ჩარჩოს ქმნის და ეს ორივე კომპონენტი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. დასკვნა აგვირგვინებს ნაშრომს და შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღებით უნდა დაიწეროს. დასკვნის დანიშნულებაა, ჩამოაყალიბოს პასუხი საკვლევ კითხვაზე და წარმოაჩინოს, როგორ განხორციელდა კვლევის მიზანი. ამ ნაწილში უნდა შეჯამდეს კონკრეტული შედეგები, კერძოდ აღიწეროს, რა დადგინდა კვლევის, ანალიზის, ინტერპრეტაციის და ა.შ. შედეგად. იგი სამ ძირითად საფეხურს მოიცავს:

1. კვლევის მიზნის, ამოცანების (მთავარი კითხვების) რეკონსტრუქცია;
2. კონკრეტული შედეგების წარმოდგენა;
3. სამომავლო პერსპექტივების დასახვა (არასავალდებულო ნაწილი საბაკალავრო ნაშრომისთვის).

დასკვნაში არ ხდება ახალი თემის წამოწევა და მსჯელობა ისეთ საკითხებზე, რომლებიც ნაშრომის ძირითად ნაწილში არ იქნა განხილული. სამაგიეროდ, მასში კიდევ ერთხელ შეიძლება აღინიშნოს, რა არის კვლევის მონაპოვარი და რა სიახლე შეაქვს მას საკითხის შესახებ არსებულ ცოდნაში. დასკვნა ლაკონური და მოკლე უნდა იყოს და ნაშრომის არაუმეტეს 10%-ს წარმოადგენდეს. დასკვნაში არ იწერება: ის მონაკვეთები, რომლებიც უკვე აღწერილია ნაშრომის შესავალ ან ძირითად ნაწილებში; თეორიული მიმოხილვა ან კონტექსტის აღწერა; ციტატა და პარაფრაზი, რადგან დასკვნაში მხოლოდ კვლევის შედეგები უნდა წარმოჩინდეს და აქ სხვა ავტორთა მოსაზრებები უადგილოა.

ბიბლიოგრაფია, იგივე გამოყენებული ლიტერატურა, სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ის სტრუქტურული ერთეულია, რომელშიც ნაშრომში განხილული, დამუშავებული და ციტირებული ყველა წყარო არის აღნუსხული ანბანური თანმიმდევრობით.

დანართი. მონაცემები და ფაქტები, რომლებიც ნაშრომის გასაგებადაა საჭირო, ან ავტორის მსჯელობას ამყარებს, შესაძლებელია, დანართში განთავსდეს. მისი საშუალებით მკითხველი იღებს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტულ საკითხზე. დანართის დართვა იმ შემთხვევაშია გონივრული, თუ აღნიშნული მონაცემები იმდენად მრავლისმომცველია, რომ მათი ძირითად ტექსტში მითითება ტექსტის კითხვას გაართულებდა. ამგვარი მასალები კვლევის დეტალებს წარმოადგენს და მათი მაგალითებია: კითხვარი ინტერვიუებისთვის, ცხრილები, გრაფიკები, სურათები, ნახატები, ხელნაწერები და ა.შ. თუ ნაშრომს ერთზე მეტი დანართი აქვს, ისინი უნდა დაინომროს, ხოლო დანართის დამოწმება ხდება ტექსტში ჩართული დამოწმების ფორმატით.

აკადემიური / სამეცნიერო ნაშრომის ტექნიკური კრიტერიუმები

სამეცნიერო ნაშრომში თანაბრად ექცევა ყურადღება შინაარსსა და ფორმას. ეს უკანასკნელიც განსაზღვრულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს და ამრიგად, მართებულად დაფორმატებული შინაარსის გარეშე ნაშრომი ვერ იქნება ღირებული. უნივერსიტეტში დადგენილია სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომის ფორმატთან დაკავშირებული მოთხოვნები, კერძოდ Microsoft Word-ის დოკუმენტის დაფორმატების ძირითადი წესებია: ენა: წერითი ნაშრომები შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე, ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია ნაშრომის შესრულება სხვა ენაზეც.

ქაღალდი: ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის თეთრ ქაღალდზე, ორიენტაცია ვერტიკალური. ბეჭდვა წარმოებს ერთ გვერდზე. ნახაზები, ცხრილები, ფოტოსურათები შესაძლებელია შესრულებულ იქნეს ნებისმიერი სხვა ზომის ფორმატზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში, აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.

შრიფტის ტიპი: ქართულენოვანი ტექსტის შემთხვევაში გამოიყენება შრიფტი Sylfaen (ქართულ უნიკოდში შესრულებული). აუცილებელია, რომ ერთი ნაშრომის ფარგლებში შენარჩუნებული იყოს შრიფტის მხოლოდ ერთი ფორმატი. უცხო ენაზე შესრულების, ან წყაროების მითითების შემთხვევაში გამოიყენება „Sylfaen“ ან “New Times Roman” შრიფტი.

შრიფტის ზომა: ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომა - 11; სათაურის შრიფტის ზომა - 14, გამუქებული (Bold), ცენტრირებული; სქოლიოსა და ტექსტიდან გამოყოფილი ციტატის შრიფტის ზომა - 10; ველები (არეები): ზედა ველი - 2 სმ; ქვედა ველი - 2 სმ; მარცხენა ველი- 2,5 სმ; მარჯვენა ველი - 1.5 სმ; ტექსტი ორივე, მარჯვენა და მარცხენა კიდეზე მწყობრად უნდა განლაგდეს, ამისთვის უნდა მოინიშნოს - Justify Text.

აბზაცები: როგორც წესი, ტექსტი უნდა დაიყოს აბზაცებად. სასურველია, თითოეული აბზაცი არ იყოს 3 სტრიქონზე ნაკლები.

სტრიქონებს შორის მანძილი: ძირითადი ტექსტისათვის ინტერვალი არის 1,5. მცირე ზომის სექციებისთვის შრიფტის ზომა შეიძლება იყოს 10, ხოლო სტრიქონებს შორის მანძილი (შინაარსი, ცხრილებისა და ნახაზების ნუსხა, სქოლიო, შენიშვნა, და სხვა) -ინტერვალი 1.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი დანომრილი უნდა იყოს თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება და, ასევე, გვერდების გამეორება. შესავალი გვერდები ტექსტის ძირითად ნაწილთან ერთად, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება თაბახის მარჯვენა ქვედა კუთხეში შრიფტის ზომით - 12.

თავებისა და ქვეთავების დასახელებები: ყველა თავისა და ქვეთავის სათაური უნდა აისახოს სარჩევში (შინაარსი). ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი შეიძლება გაგრძელდეს იმავე გვერდიდან. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში გამოყენებული უნდა იქნეს შრიფტი, შესაბამისად ზომით - 16 (თავი) და ზომით -12 (ქვეთავი).

აკადემიური/სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი აფვას (APA) სტილით

ციტირება [გერმ. zitieren] - ციტატის, ციტატების მოყვანა. აფა-ს სტილს როცა ვიყენებთ, ტექსტში ავტორის მოსაზრებების ან ციტატების ჩართვისას უნდა დავიცვათ გარკვეული წესები. წარმოგიდგენთ ძირითად ნიმუშებს: აფა-ს სტილი განასხვავებს წყაროთა მითითების ორ ფორმას:

1. აკადემიურ ნაშრომში გამოყენებული წყაროს შესახებ არსებული მონაცემების შიდატექსტური ციტირება - როცა წყაროს შესახებ არსებული მნიშვნელოვანი მონაცემები წარმოდგენილია უშუალოდ ნაშრომის ტექსტში;
2. აკადემიურ ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შედგენა, რომელიც აკადემიური ნაშრომის ბოლოს არის განთავსებული.

შიდატექსტური ციტირება. ციტატა - რაიმე ნაწარმოების ფრაგმენტი, რომელიც ჩართულია სხვა ტექსტში წყაროს მითითებით. აფა-ს სტილის მიხედვით ციტირება აუცილებელია გამოვიყენოთ სამ ძირითადად შემთხვევაში: სხვა ავტორთა ტექსტების უცვლელად გამეორებისას; მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებების შეჯამებისა და მათი აზრების პერეფრაზირების დროს.

პერიფრაზირება არის სხვა ლექსიკური ერთეულებით (საკუთარი სიტყვებით) ავტორის აზრის უცვლელად მოყვანა. რაკი სამივე შემთხვევაში ავტორის მიერ ტექსტში მოყვანილი აზრი ეკუთვნის სხვა ადამიანს, ამიტომ აუცილებელია წყაროს მითითება შესაბამისი ფორმით. აფა-ს სტილის მიხედვით, ტექსტის შიდა ციტირების დროს წყაროს შესახებ მოცემულია სამი მნიშვნელოვანი მონაცემი, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით, ესენია:

NEU
ერიკეული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

1. ციტირებული წყაროს ავტორის გვარი;
2. ციტირებული წყაროს გამოცემის თარიღი;
3. გვერდის (გვერდების) ნომერი (ტექსტის ფრაგმენტის შემთხვევაში). თუ ვიყენებთ წყაროს ელექტრონულ ვერსიას, ვუთითებთ ინფორმაციის მოძიების თარიღსაც.

მოკლე შიდატექსტური ციტირება პრაქტიკაში არსებობს სხვადასხვა ტიპის ტექსტური წყარო და შესაბამისად, განსხვავებულია ციტირებულ წყაროთა მონაცემებიც და მათი დამოწმების წესიც. თუ იმოწმებთ რომელიმე ავტორის მთელ ნაშრომს და არა მის ფრაგმენტს, მაშინ უთითებთ მხოლოდ ავტორის გვარს და მისგან მძიმით გამოყოფთ გამოცემის წელს, ხოლო სრულ ინფორმაციას პირველწყაროს შესახებ მკითხველი იღებს ნაშრომის ბოლოს დართული სიიდან. მაგალითად: (ჩიქობავა, 2010).

თუ გამოყენებული გაქვთ ტექსტის ფრაგმენტი, მაშინ ტექსტში შესაბამის ადგილას მიეთითება ციტატის ავტორის გვარი ინიციალის გარეშე, მისგან მძიმით გამოყოფილი გამოცემის წელი და გვერდი (შეგიძლიათ გამოიყენოთ შემოკლება - „გვ.:), მაგალითად: (ჩიქობავა, 2010, გვ.: 116). თუ ციტირებულ ტექსტს არ ჰყავს ავტორი (მაგ.: ხალხური ლექსი), ნაშრომის ბოლოს დართულ სიის მიხედვით მიეთითება პირველწყარო. მაგალითად: (ხევსურული პოეზია, 2012).

თუ სტატიაში არის გამოყენებული ორი სხვადასხვა ავტორი ერთი და იმავე გვარით, მიეთითება მათი ინიციალებიც (ჯერ სახელის და შემდეგ გვარის). მაგალითად: (გ. დუნდუა & თ. დუნდუა, 2006).

თუ გამოყენებულ წყაროს ჰყავს ორი ავტორი, მიეთითება ორივე ავტორის გვარი. მათი განცალკევებისათვის ინგლისურენოვან ტექსტში ვიყენებთ კავშირის ნიშანს - „&“, ქართულენოვან ტექსტებში გამოიყენება „და“ კავშირის ნიშანი. მაგალითად: (შანიძე და კვაჭაძე, 1997, გვ. 223).

თუ ნაშრომს ჰყავს არა უმეტეს 5 ავტორისა, პირველად მიეთითება ყველა ავტორის გვარი, ხოლო შემდეგი ციტირებისას - მხოლოდ პირველის.

თუ გამოყენებულ წყაროს ჰყავს 6 ან მეტი ავტორი, პირველი ავტორის გვარის შემდეგ იწერება „და სხვანი“). მაგალითად: (აბაშიძე & სხვანი, 1990). თუ სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა წელს გამოცემულ ბეჭდურ ნაშრომთა მონაცემების მითითება ხდება, მაშინ ავტორთა გვარები ანბანური თანმიმდევრობით უნდა განთავსდეს, ერთმანეთისაგან წერტილ-მძიმით გამოიყოფა. მაგალითად: (ტურაშვილი, 1999; დეკანოიძე, 1976; გოკიელი, 2003).

ერთი ავტორის მიერ სხვადასხვა წელს გამოცემული ბეჭდვითი წყაროების მითითებისას, გამოცემის თარიღები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ლაგდება და ერთმანეთისაგან მძიმეებით გამოიყოფა. მაგალითად: (ასათიანი, 1998, 1999, 2001).

თუ ერთი და იმავე ავტორის ერთსა და იმავე წელს გამოცემული წიგნების დამოწმება ხდება, მაშინ შიდატექსტური ციტირებისას თითოეულ მათგანს ენიჭება ლიტერი „ა—, „ბ— და ა. შ. მაგალითად: (ასათიანი, 1998 ა, 1998 ბ, 2001).

თუ გამოყენებული ნაშრომი არ არის დათარიღებული, მიუთითეთ, რომ არის ,,უთარიღო“. მაგალითად: (ჯავახიშვილი, უთარიღო).

საჟურნალო ან საგაზეთო მასალის დამოწმების შემთხვევაში არ მიეთითება ზუსტი თარიღი, კერძოდ: თვეს, დღეს ან რიცხვს. მაგალითად: (კალანდაძე, 2013).

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

იმ შემთხვევაში, როცა ტექსტში ზოგადად არის მოხსენიებული ინტერნეტის ვებ - გვერდი და არ მიეთითება მისი კონკრეტული გვერდი ან იქ განთავსებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაშინ საკმარისია მხოლოდ ვებ - გვერდის ელექტრონული მისამართის შიდატექსტური ციტირება ანუ ციტირებისას ფრჩხილებში აღინიშნება მხოლოდ ვებ - გვერდის მისამართი. ამგვარი ინფორმაცია ელექტრონული წყაროს შესახებ თავსდება მხოლოდ ტექსტის შიგნით და არ უნდა გამოჩნდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალში.

ვრცელი შიდატექსტური ციტირება თუ დამოწმებული ტექსტის მოცულობა ორმოც სიტყვას აღემატება, ის ითვლება ვრცელ ციტირებად და მას სხვაგვარად ბლოკურ ციტატასაც უწოდებენ. იგი დანარჩენი ტექსტისაგან განცალკევებით იწერება და ერთგვარი სვეტის ფორმა აქვს. მთელი ციტირებული ტექსტი ჩასმულია გვერდის მარცხენა კიდიდან ხუთი ინტერვალის დაშორებით. ე.წ. ბლოკური ციტირება იწყება ავტორის სიტყვების შემდგომ ერთი ინტერვალის გამოტოვებით და ბრჭყალებში არ თავსდება.

გამოყენებული ლიტერატურა. აფა-ს სტილი ერთმანეთისაგან განასხვავებს გამოყენებულ ლიტერატურასა (References) და ბიბლიოგრაფიას (Bibliography). გამოყენებული ლიტერატურა მოიცავს მხოლოდ იმ წყაროებს, რომლებსაც ეყრდნობა კვლევა. ბიბლიოგრაფია კი გულისხმობს საკვლევ თემასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ლიტერატურასაც, რომელიც შესაძლოა კონკრეტულ კვლევაში უშუალოდ გამოყენებული არ ყოფილა, მაგრამ მისი გაცნობა მნიშვნელოვანი იყო საკითხის სიღრმისეული წვდომისა და გაგებისათვის; ასევე, ბიბლიოგრაფიაში შეიძლება იყოს მითითებული თემასთან დაკავშირებული ის ლიტერატურაც, რომლის გაცნობასაც სასურველად მიიჩნევს ავტორი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველი წყარო, რომელიც აღნიშნულია ნაშრომში შიდატექსტური ციტირების წესით, აუცილებლად უნდა იყოს მოხსენებული გამოყენებული ლიტერატურის გვერდზეც. ეს მოთხოვნა ჯვარედინი მითითების (Cross-Refer-encing) წესით არის ცნობილი. გამონაკლისია ე. წ. პირადი მასალა (Personal Communication), რომლის ციტირებაც აფა-ს სტილის მიხედვით საჭიროა მხოლოდ ტექსტის შიდა ციტირებისას, მაგრამ არა გამოყენებული ლიტერატურის გვერდზე, რადგან ამგვარი მასალის (წერილები, მემორანდუმები, ელექტრონული მიმოწერა, ინტერვიუ ან სატელეფონო საუბრები) მოძიებას და გადმოწერას სხვა მკვლევრები ვერ მოახერხებენ.

გამოყენებული ლიტერატურა, სათაური იწერება ახალი გვერდის შუაში. გამოყენებული ლიტერატურის სია ფორმდება მკაცრად განსაზღვრული წესების მიხედვით და ნაშრომს ბოლოში ერთვის. გამოყენებული ლიტერატურა არ ინომრება. ანბანური პრინციპით ლაგდება ჯერ ქართული, შემდეგ - უცხოენოვანი წყაროები და ინფორმაცია ელექტრონული გამოცემების შესახებ. არაქართულენოვანი წყაროს დამოწმებისას მონაცემებს ჩვეულებრივი წესით ვაფორმებთ, ლათინურად; სათაურს _ ტრანსკრიპციით, ხოლო კვადრატულ ფრჩხილში ვათავსებთ წიგნის სათაურის თარგმანს. მაგ.: Gardner, I. (2011). Kniga Matemati-ki [Math Book]. Moscow: Priroda. ქართული წყაროს შემთხვევაში შემდეგნაირად ვიქცევით: შალამბერიძე, გ. (1965). ქართული მართლწერა [k'art'uli mart'lcera/Georgian Correct Writing]. თბილისი: განათლება.

შიდატექსტური მითითებისას არაქართულენოვანი წყარო მხოლოდ პირველად მიეთითება ქართულად და წილადით - ლათინური ანბანით. მაგალითად: რაც უფრო დააკმაყოფილებს ინდუსტრიული განვითარებისა და ბუნებრივი სოციალური რესურსების სხვადასხვა დონის ქვეყნების მოთხოვნებს, მით უფრო წინ წაიწევს ქვეყნის ეკონომიკა (ქიფი/ Keefe, 2012. გვ.: 75). თუ წყაროს ავტორი არ არის მითითებული, გამოყენებული ლიტერატურის სიაში მისი ადგილი განისაზღვრება სათაურის პირველი ასოს მიხედვით.

ინფორმაცია კონკრეტული წყაროს შესახებ უნდა შეიცავდეს ხუთ ძირითად მონაცემს, რომლებიც შემდეგი თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი:

1. ავტორის გვარი და სახელი (ინიციალით);
2. წყაროს გამოცემის თარიღი;
3. ბეჭდვითი წყაროს სათაური (დახრილი, იტალიკით);
4. გამოცემის ადგილი;
5. გამომცემლობა.

გამოყენებული ლიტერატურის სიის გაფორმებისას უნდა გვახსოვდეს:

პუნქტუაცია. კონკრეტული წყაროს შესახებ მოცემულ ინფორმაციაში ყოველი ელემენტი ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამოყოფილი წერტილით; მძიმეებს ვსვამთ ელემენტების შიდა ჩამონათვალისას (მაგ.: ავტორთა გვარები); ორი წერტილი გამოიყენება წიგნის გამოცემის ადგილისა და გამომცემლობის სახელებს შორის. გამოცემის წელი და გვერდები (თუ საჭიროება მოითხოვს) მითითებული უნდა იყოს ფრჩხილებში. თუ იმოწმებთ რამდენიმე ავტორს, გამოყავით მათი გვარები მძიმეებით. ქართველ ავტორებთან გამოიყენეთ „და“ კავშირი, უცხოენოვანებთან - “&”.

დიდი ასოები გამოიყენეთ მხოლოდ სიტყვების პირველი ასოებისათვის, თუ ჩამონათვალი რომელიმე ევროპულ ენაზე ფორმდება. დახრილად (იტალიკით) მიუთითეთ წიგნის სათაური და, თუ საჭიროა, ტომის ნომერი.

ავტორთა ჩამონათვალი. ჯერ ყოველთვის მიეთითება ავტორის გვარი, შემდეგ კი - ინიციალი. თუ წიგნს 6-ზე მეტი ავტორი ჰყავს, პირველი 6-ის ვინაობის დასახელების შემდეგ იწერება „და სხვანი“.

კორპორაციული ავტორები. კორპორაციის დასახელება მიეთითება ავტორების ნაცვლად (დიდი ასოები საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება პირველი სიტყვებისათვის). დაცული უნდა იყოს იერარქიის პრინციპი: ორგანიზაციის მთავარი განყოფილების დასახელება წინ უნდა უსწრებდეს ქვეგანყოფილებებს.

რედაქტორები. თუ წიგნს ავტორი არ ჰყავს, მის ნაცვლად რედაქტორის/რედაქტორთა მონაცემები მიუთითეთ (გვარი, სახელის ინიციალი), რომელსაც დაერთვება ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა (რედ.). თუ თქვენს ჩამონათვალში მითითებული გაქვთ ინფორმაცია იმ პირთა შესახებ, რომლებიც აგრეთვე არ არიან ავტორები (მაგ.: მთარგმნელების), მათი გვარები უნდა ჩაისვას ფრჩხილებში და ასევე დაერთოს ფრჩხილებში ჩასმული შენიშვნა (მთარგმნ.). თუ თქვენ მიერ გამოყენებულ მასალას არ ჰყავს ავტორი და არც გამომცემლობის სახელი იცით, ამ შემთხვევაში მიუთითეთ მხოლოდ წყაროს სათაური.

გამოცემის თარიღი. გამოცემის თარიღი მოთავსებულია ფრჩხილებში. ის წინ უნდა უსწრებდეს სათაურს და მოსდევდეს ავტორის სახელს. თუ წყაროს არ ჰყავს არც ავტორი და არც გამომცემელი, თარიღი ჩასვით სათაურის შემდეგ (ამ შემთხვევაში სათაური მიეთითება პირველ ადგილას). გაზეთების, ჟურნალებისა და სხვა პერიოდული გამოცემებისათვის, რიგითი ნომრის გარდა, მიუთითეთ გამოშვების თვე და რიცხვი; თუ ასეთი მონაცემი არ არსებობს, ფრჩხილებში ჩასვით სიტყვა „უთარიღო".

ნომერი, გამოცემა, გვერდების დასახელება. პერიოდული გამოცემებისათვის (გაზეთი, ჟურნალი) მხოლოდ გამოცემის ნომერი მიუთითეთ დახრილად (იტალიკით), მისგან მძიმით გამოყავით ჩვეულებრივად დაბეჭდილი გვერდის ნომერი. მაგ.: 38 , 12-17.

თუ გამოცემა ყოველ თვეში იწყება 1-ლი ნომრით, გამოცემის საერთო ნუმერაციის შემდეგ ფრჩხილებში ასევე დახრილად მიუთითეთ კონკრეტული გამოცემის ნომერი მაგ.: 38 (2), 12- 17. შემოკლება „გვ." გამოიყენეთ მხოლოდ წიგნების ან საგაზეთო სტატიებისათვის და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია გაურკვევლობის თავიდან ასაცილებლად.

გამომცემლობები და გამოცემის ადგილები. გამოცემის ადგილის მითითების დროს მიუთითეთ ქალაქი; ქვეყანა დააკონკრეტეთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი არ არის ცნობილი ფართო მკითხველისათვის. მოერიდეთ ინფორმაციის მეტისმეტად დაწვრილებით მითითებას.

მიმოხილვები. პირველ ადგილზე ავტორები, შემდეგ თარიღი, შემდეგ სათაური. ფრჩხილებში მითითებული უნდა იყოს სტატია [მიმოხილვა წიგნის/ კინოს/ სატელევიზიო პროგრამის და ა. შ.]. მიუთითეთ სრული ციტატა; თუ მიმოხილვას ავტორი არ ჰყავს, ციტატა ჩასვით ფრჩხილებში.

სახელმწიფო დოკუმენტები. ძირითადი ფორმატი: კორპორაციული ავტორი. (გამოცემის თარიღი). დოკუმენტის სათაური: დოკუმენტის ქვესათაური. (დოკუმენტის ნომერი). გამოცემის ადგილი: დეპარტამენტი. თუ ავტორი და გამომცემელი ერთი და იგივეა, მაშინ სახელმწიფო დოკუმენტების მითითების დროს ავტორი მიეთითება გამომცემლის ადგილას. ელექტრონული გამოცემების დამოწმებისას გვერდების ნომრებს ვერ ვუთითებთ (არ აქვს); სათაურისა და ავტორის გარდა მიეთითება ინფორმაციის მოძიების თარიღი და წყარო. მიუთითეთ ვებ - გვერდი. ნუ დაწერთ ყველასათვის ცნობილ ვებ - გვერდს. მაგ.: „ვიკიპედია". ასევე, ცნობილი ჟურნალების პროვაიდერებს ან ბიბლიოთეკებს; გამოყენებული ლიტერატურის სიაში ვებგვერდის მითითება აუცილებელი არ არის, თუ ეს ინფორმაცია ციტატაშია;

თუ ელექტრონული ვერსია არის სრული ასლი რაიმე გამოცემისა (რაც ხშირია), უნდა მიეთითოს გამოცემა (გვერდების ჩათვლით) და ბოლოს ელექტრონული ვერსიის მისამართი.

ილუსტრაციების, ცხრილებისა და ნახატების ჩამონათვალი ნაშრომში ცხრილების, დიაგრამების, სურათებისა და სხვა ვიზუალური მასალის განთავსება ორგვარადაა შესაძლებელი: ტექსტის შიგნით ფურცლის შუაში (ჩართული სახით) და ტექსტის გარეთ (დანართის სახით). საჭირო ცხრილები, დიაგრამები და სხვა ვიზუალური ფიგურები ტექსტში უნდა ჩართოთ რაც შეიძლება ახლოს იმ ადგილთან, სადაც განიხილეთ. დაუშვებელია ტექსტის განთავსდება ილუსტრაციის, ცხრილის ან ნახატის გარშემო. დასათაურების დროს ყოველი ცხრილი, დიაგრამა და სურათი

NEU
ერროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

თითოეული დამოუკიდებლად, თანმიმდევრულად ინომრება არაბული ციფრებით (ცხრილს თავისი ნუმერაცია, ნახატს - თავისი და ა.შ.), ხოლო სათაურის ტექსტი შემოდის დახრილი შრიფტით (Italics). ილუსტრაციას, ნახატს სათაური ეწერება ქვევით, ხოლო ცხრილს - ზევით. კონკრეტული დოკუმენტის ქვემოთ უნდა მიუთითოთ შესაბამისი წყარო, იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩვენ მიერ შექმნილი არ არის. ილუსტრაციის, ცხრილების და ნახატების დასახელება შესაძლებელია მოცემული იყოს ერთბწკარიანი შუალედით. ილუსტრაციის დასახელება თავსდება ფურცელზე ვერტიკალურად. თუ ის ჰორიზონტალურადაა განთავსებული და თან რამდენიმე გვერდზე, დასახელება და დანომვრა კვლავ ვერტიკალურად უნდა იქნეს წარმოდგენილი.

აკადემიური / სამეცნიერო ნაშრომის ფორმატი ჩიკაგოს (Chicago) სტილით

ციტატა - ციტირება. ციტატა არის ნაშრომში რომელიმე სხვა ტექსტიდან სიტყვასიტყვით, უცვლელად გადმოტანილი მონაკვეთი. ციტატებით შეიძლება გამყარდეს ავტორის მოსაზრებები დამამტკიცებელი ფაქტების ჩვენებით; გამოყენებულ იქნეს დედნის დარგობრივი ლექსიკა, ენობრივი სტილი; მოყვანილ იქნეს საწინააღმდეგო თვალსაზრისი ობიექტურობის შენარჩუნების მიზნით; შეიქმნას საფუძველი შემდგომი მსჯელობისთვის. ციტირებისას, მნიშვნელოვანია, შემდეგი წესების გათვალისწინება და დაცვა:

ციტირება აკადემიური / სანდო წყაროდან: ციტატები უნდა შეირჩეს სიფრთხილით, რადგან რელევანტური და სანდო წყაროდან ციტირება ნაშრომის ღირებულებას განსაზღვრავს, ნაშრომს ხარისხსა და დამაჯერებლობას სძენს და ამასთანავე, ავტორის მაღალ პროფესიონალიზმზე მიანიშნებს. „მკითხველი აფასებს კვლევას იმდენად, რამდენადაც ენდობა მასში მოყვანილ წყაროებს "(თურაბიანი 2007, 111).

ციტატების რაოდენობა ტექსტში: სამეცნიერო/აკადემიური ნაშრომი საკუთარი სიტყვებით უნდა დაიწეროს, ციტატები კი მხოლოდ მაშინ ჩაერთოს ტექსტში, თუ მსჯელობის სხვაგვარად განვითარება გარდაუვალია. სხვათა ნააზრევის დიდი რაოდენობით და სიტყვასიტყვით გადმოწერა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ავტორს გაუჭირდა თავისი მოსაზრებების გადმოცემა და მარტივი გზა იპოვა ნაშრომის დასაწერად. ბევრი ციტატა მხოლოდ აზიანებს ნაშრომს.

ბრჭყალები: სხვადასხვაენოვანი ციტატების მოყვანისას ბრჭყალების ფორმატი განსხვავებულია. ქართული და გერმანულენოვანი წყაროების ციტირებისას გამოიყენება ორმაგი ბრჭყალები ამგვარი სახით „...", ინგლისურენოვანი ციტატებისთვის — "...", ხოლო ფრანგულენოვანი ტექსტების შემთხვევაში — კუთხოვანი ბრჭყალები<>.

მოკლე ციტატა: მოკლეა ციტატა, რომელიც არ აღემატება ოთხ სტრიქონს. იგი ჩვეულებრივ, განთავსებულია ძირითად ტექსტში და ჩასმულია ბრჭყალებში.

გრძელი ციტატა: ოთხ სტრიქონზე მეტია და ბრჭყალების გარეშე იწერება. თვალსაჩინოებისთვის ძირითად ტექსტს გამოეყოფა ქვემოთ და ზემოთ თითო ხაზით, კიდეები შეწეულია თითო სანტიმეტრით, მცირდება შრიფტის ზომა (11) და სტრიქონებს შორის ინტერვალი (1,15).

ფრაგმენტული ციტატა: იმისათვის, რათა მოყვანილი ციტატა ლოგიკურად გადაებას ავტორის მოსაზრებებს, დასაშვებია, ციტატის შეცვლა, ოღონდ ისე, რომ ამით არ შეიცვალოს მისი შინაარსი. თუ ციტატაში საჭიროა სიტყვის ან წინადადების გამოტოვება, გამოტოვებული მონაკვეთი აღინიშნება კვადრატული ფრჩხილებით — […]. თუ

ციტატაში რამეს ჩამატებაა საჭირო, მაგალითად ტერმინის ან გარკვეული ფაქტის განმარტება, უნდა აღინიშნოს [კვადრატული] ფრჩხილებით. ფრჩხილებში მოთავსდება ავტორის კომენტარი ან განმარტება.

ციტატა ციტატაში: თუ მოყვანილია სხვა წყაროში ციტირებული ციტატა, ის უნდა ჩაისვას ერთმაგ, მარტივ ბრჭყალებში, ე.წ. აპოსტროფებში (‚…‘ ,’...’, ›…‹). თუმცა სასურველია, რომ ციტატები ყოველთვის დედნიდან იქნეს მოყვანილი. ვინც ე.წ. „მეორად “ციტატებს იყენებს, საფრთხის წინაშე დგება და შეიძლება არასწორად დამოწმებული ციტატა გადმოიწეროს.

უცხოენოვანი ციტატა: უცხოენოვან სამეცნიერო წყაროებზე მუშაობისას სასურველი ციტატები ძირითად ტექსტში ორიგინალის ენაზე უნდა იქნეს მოყვანილი. ციტატის თარგმანი კი მთარგმნელის მონაცემებთან ერთად განთავსდება სქოლიოში. თუ თარგმანი ავტორისეულია, უნდა მიეთითოს მონაცემები. მაგ.: (აქ და ქვემოთ თარგმანი ჩვენია — ნ.ქ.). თუ ტექსტს 11 კონკრეტული მთარგმნელი ჰყავს, უნდა მიეთითოს მაგალითად ასე: (ივანე მაჩაბლის თარგმანი); გასათვალისწინებელია, რომ მთარგმნელის მონაცემების მითითება ხდება მხოლოდ ერთხელ, პირველ თარგმანთან.

შეცდომა ციტატაში: თუ ციტატისთვის შერჩეულ მონაკვეთში ბეჭდური ან ფაქტობრივი შეცდომა აღმოჩნდება, ის უნდა გადმოიწეროს უცვლელად, ხოლო შეცდომის გასწვრივ კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ლათინური მინიშნებით [sic!] უნდა მიეთითოს ამ შეცდომაზე (sic — ქართ. „ასე “, მომდინარეობს ლათინური ფრაზიდან sic erat scriptum, რაც ნიშნავს: „ნამდვილად ასე ეწერა “.)

ციტატის დამოწმება: ყველა ციტატას სჭირდება დამოწმება.

პარაფრაზი (E. Paraphrase; Gk. Paraphrasis -აღწერა) /პარაფრაზირება: პარაფრაზი (E. Paraphrase; Gk. Paraphrasis - აღწერა) არაპირდაპირი ციტატაა. მასში იგულისხმება სხვა ტექსტების მონაკვეთების გადმოცემა საკუთარი სიტყვებით, თხრობა ტექსტთან ახლოს. ამ შემთხვევაში, წინადადების წყობა (და არა შინაარსი!) იცვლება და სიტყვათა უმეტესობა სინონიმებით ნაცვლდება. გადმოცემული შინაარსი ბრჭყალების გარეშე იწერება. პარაფრაზირებისას არ უნდა დამახინჯდეს და დაიკარგოს მისი მთავარი აზრი და არ დაშორდეს ავტორის ძირითად იდეებს. პარაფრაზირების დასრულების შემდეგ მონაკვეთი ისევე უნდა დამოწმდეს, როგორც ციტატა.

რეზიუმე/რეზიუმირება: რეზიუმირება ეწოდება სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვისას ტექსტის ვრცელი მონაკვეთების გადმოცემა / შეჯამებას. ამგვარი შეჯამება მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს და მასში უნდა ჩანდეს ვინ დაწერა / შექმნა ტექსტი? სად დაიბეჭდა / გამოიცა იგი? რისი გამოკვლევა / დადგენა სურს ავტორს? როგორ არის აგებული ტექსტი? როგორ წარიმართა კვლევა? რა გამოიკვეთა ჩატარებული კვლევის საფუძველზე?

Passim: სამეცნიერო ნაშრომებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ავტორი თავისი მსჯელობის ასაგებად დიდწილად ერთ კონკრეტულ ტექსტს ეყრდნობა. ამგვარი მიმართება, შეიძლება, გამოიხატოს ტერმინით passim (ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ნიშნავს „ყველგან “, „გამონაკლისის გარეშე “, „აქაც და იქაც “), შემდეგნაირად: ავტორის გვარი, წელი passim. თუ რომელიმე წიგნიდან ერთი მონაკვეთი ან თავი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაშრომისთვის, შესაძლებელია გვერდის მითითებაც: (ავტორის გვარი წელი passim გვერდის ნომერი).

NEU
ერიკეული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

მინიშნება. სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავებისას შესაძლებელია ავტორი შეხვდეს საკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ისეთ წყაროებს, რომელთა მონაკვეთების ციტირება, პარაფრაზირება ან რეზიუმირება მიზანშეწონილად არ მიაჩნია, თუმცა სურს, რომ მკითხველს მიანიშნოს მათზე. ამგვარად წარმოჩნდება, რომ ავტორი იცნობს ამ წყაროებს, მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ არ რთავს მათში შესულ მოსაზრებებს ან ციტატებს საკუთარ ნაშრომში. მინიშნების საშუალებით შესაძლებელია იმის ჩვენება, რომ: სხვა ავტორები იზიარებენ ნაშრომში გამოთქმულ პოზიციას; სხვა ავტორებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ; სხვა ავტორებმა შეაჯამეს ის საკითხი, რაც ნაშრომში იქნა ნახსენები; სხვა ავტორებთან საკითხზე დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება. სხვა მკვლევართა პოზიციების წარმოდგენისას ავტორი განამტკიცებს საკუთარ პოზიციას და ამგვარად, ებმება დარგობრივ დისკუსიაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით ნათლად გამოჩნდეს, თუ ვისია მსჯელობა: როდის გადმოიცემა საკუთარი მოსაზრებები და როდის - სხვისი. მინიშნების დამოწმება ხდება შემდეგნაირად: (იხ. ავტორის გვარი წელი, გვერდ(ებ)ი).

ბიბლიოგრაფიის შედგენისას გასათვალისწინებელია შემდეგი წესები:

1. ტექსტში დამოწმებული წყაროები უნდა შეესაბამებოდეს ბიბლიოგრაფიულ მუხლებს;
2. ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული ლიტერატურა ლაგდება ანბანური თანმიმდევრობით ავტორთა გვარების მიხედვით, არ ინომრება და არ უკეთდება ბულეტები;
3. ბიბლიოგრაფიული მონაცემები არ ითარგმნება და წყარო მოწმდება დედნის ენაზე. მაგალითად, ინგლისურენოვან წყაროებს მითითება ხდება ინგლისურ ენაზე;
4. შესაძლებელია წყაროების დაყოფა კატეგორიებად ფორმის მიხედვით (ხელნაწერი, საარქივო კოლექცია, ვიდეო ჩანაწერები და ა.შ.), რიგის მიხედვით (პირველწყარო, მეორეული წყარო, მესამეხარისხოვანი წყარო) და ენის მიხედვით (გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე, გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე და ა.შ);
5. ელექტრონულად მოპოვებულ ყველა წყაროს (იქნება ეს წიგნი, ელ. სტატია თუ ვებგვერდი) სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებთან ერთად, უნდა მიეთითოს ლინკი და ნახვის თარიღი;
6. სხვადასხვაგვარი წესი მოქმედებს სხვადასხვა ტიპის წყაროს დამოწმებისას. წყარო კი შეიძლება იყოს წიგნები, სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები, დისერტაციები, ვებგვერდები, საკანონმდებლო ტექსტები და ა.შ. მათი მითითებისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ დეტალებს, როგორიცაა, ინფორმაციის თანმიმდევრულობა, სასვენი ნიშნების მართლწერა, შრიფტის დახრა და მათი დაცვა მთელი ნაშრომის ფარგლებში. ქვემოთ მოცემულია ყველაზე გავრცელებული რესურსების ტექსტში ჩართული და ბიბლიოგრაფიაში მითითების მოდელები.

უნივერსიტეტის მოთხოვნები სამეცნიერო სტატიისადმი

სამეცნიერო სტატიის არსი. სამეცნიერო სტატია არის სამეცნიერო / აკადემიური ნაშრომი, რომელიც ასახავს მეცნიერის/დოქტორანტის სამეცნიერო კვლევის შედეგებს. შედეგები შეიძლება იყოს ანალიტიკურ / მიმოხილვითი ხასიათის (მაგ.: არსებული სამეცნიერო ლიტერატურის / დოკუმენტების / ნაშრომების ანალიზი / მიმოხილვა) ან სამეცნიერო საზოგადოებაში აღიარებული კვლევის შედეგების დადასტურება / უარყოფა, ან საკუთარი მეცნიერული მიგნებების, დასმული პრობლემების გადაწყვეტის გზების ჩვენება და ა.შ.

სტატიის სათაური. სათაური სტატიის მნიშვნელოვანი ელემენტია. ის კომპაქტურად და ზუსტ წარმოდგენას უნდა ქმნიდეს ნაშრომის შინაარსის / დასმული პრობლემის შესახებ, აღძრავდეს ინტერესს სტატიის წასაკითხად. ინფორმაცია ავტორის / ავტორების შესახებ - ამ ნაწილში უნდა მიეთითოს ავტორის / ავტორთა სახელი, გვარი, სამეცნიერო / აკადემიური ხარისხი, სამუშაო / სწავლის ადგილი, საკონტაქტო მონაცემები.

სტატიის სტრუქტურა: სტატიის სტრუქტურა შეიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- აბსტრაქტი;
- საძიებო სიტყვები
- ტექსტი
- ბიბლიოგრაფია / გამოყენებული ლიტერატურა.

სტატიის სტრუქტურის კომპონენტების აღწერა:

აბსტრაქტი: აბსტრაქტი ოპტიმალურად ასახავს თემის / პრობლემის აქტუალობას, მიზნებს, შინაარსსა და კვლევის შედეგებს. მისი წაკითხვით ზოგადი წარმოდგენა იქმნება კვლევის მიზნებისა და შედეგების შესახებ. დაცულია შესაბამისი გამოცემის მიერ დადგენილი ასო / ნიშანთა რაოდენობრივი მოთხოვნა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის აკადემიური გამოცემისთვის ეს არის, არა უმეტეს, 400 ასო / ნიშანი.

საკვანძო სიტყვები: აუცილებელი ელემენტია ნებისმიერი სტატიისთვის. ის გამოიყენება დარგობრივი სფეროს / კვლევის ობიექტის / კვლევის მეთოდების განსაზღვრისათვის და შესაბამისი სტატიის საძიებოდ. სიტყვები / სიტყვათშეერთებები უნდა შეიცავდეს დარგობრივ ტერმინებს, რომლებიც შეიძლება არც კი იყოს გამოყენებული სტატიაში, მაგრამ დამახასიათებელია წარმოდგენილი დარგისთვის. საძიებო სიტყვების ოპტიმალური რაოდენობაა 4 - 7 ერთეული, ხოლო ფრაზის ფარგლებში - არა უმეტეს 3 ერთეულისა.

ტექსტი: სტატიაში მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს შემდეგი ძირითადი ნაწილები:

შესავალი: (კონტექსტი ნათლად უნდა წარმოაჩენდეს ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებს თემის აქტუალობას და წარმოდგენილი პრობლემის დასმის აუცილებლობას. კონცეპტუალური აპარატი (ჰიპოთეზა, მიზნები, ამოცანები, კვლევის საგანი, ობიექტი) მკაფიოდ უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის სპეციფიკასთან მიმართებით);

ძირითადი ნაწილი: (ამ ნაწილში წარმოდგენილია თემის შინაარსი, სადაც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა კვლევის მეთოდების განსაზღვრისა და რელევანტურობის დასაბუთებას, კვლევის აღწერასა და შედეგების ანალიზს, კვლევის შეზღუდვების განხილვის ჩათვლით);

წერის სტილი: (მკითხველის ყურადღების მიპყრობის შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს: დასმული პრობლემის უაღრესად მაღალი აქტუალობა, ფაქტების და მოვლენების მკაფიოდ ახსნა, მიზეზშედეგობრივი კავშირების

NEU
ერთიანული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

გასაგებად ჩვენება, სამეცნიერო-პროფესიული ლექსიკის ერთმნიშვნელოვანი და მიზნობრივი გამოყენება, აზრის არგუმენტირება, ლოგიკური განვითარება. ტექსტში შეიძლება მოცემულ იყოს მცირე რაოდენობით სურათები, ცხრილები, გრაფიკები, შესაბამისი დასათაურებით, საჭიროების შემთხვევაში, შენიშვნა, კონკრეტული თვალსაჩინოების განმარტებისთვის, რომელიც უნდა განთავსდეს მის ქვევით. სასურველია ძირითადი ნაწილის დაყოფა ქვეთავებად, რაც უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის სტატიას);

დასკვნა: (დასკვნა ნათლად და კომპაქტურად აჯამებს კვლევის შედეგებს, წარმოაჩენს ნაშრომის ძირითად არსს, მეცნიერულ სიახლეს, უჩვენებს შემდგომი კვლევის პერსპექტივას).

ფორმალური მოთხოვნები: სტატიისათვის ფორმალური მოთხოვნები სხვადასხვა გამოცემას განსხვავებული აქვს, ამდენად, კონკრეტული გამოცემისთვის ნაშრომის გაგზავნის შემთხვევაში, დაცული უნდა იყოს შესაბამისი მოთხოვნები; ხოლო უნივერსიტეტის ფარგლებში (სამეცნიერო ჟურნალი, კონფერენციის მასალათა კრებული და სხვა) წარდგენილი სტატია უნდა აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია ამ დოკუმენტით.

გამოყენებული ლიტერატურა

ქავთარაძე, თ. ქასრაშვილი, ნ. საღინაძე, ნ. პატარიძე,ს. საბაური,თ.. *აკადემიური მუშაობის საფუძვლები:* პრაქტიკული სახელმძღვანელო სტუდენტებისთვის. აკადემიური წერის ცენტრი. ერასმუს პლუსის ინსტიტუციური განვითარების პროექტი - „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (INTEGRITY)“.2018;

თურაბიანი, ქ. ლ. 2007. *სახელმძღვანელო რეფერატების, თეზისების და დისერტაციების ავტორებისათვის. „ჩიკაგოს სტილი სტუდენტისა და მკვლევრებისათვის“* . მთარგმნ. ადამია, ა. და თავყელიშვილი,მ..https://bit.ly/2z4DMSS (29.06.2018).